

ააიპ კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია
და
სს საფეხბურთო კლუბი სამტრედია

სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა	3
კომბინირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	5
კომბინირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	6
კომბინირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები	14

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

ააიპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს და სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს რუსთაველის ქ. #128 ქ. სამტრედია, საქართველო

კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

- ჩვენ ჩავატარეთ ააიპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-სა და სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს (შემდგომში “კლუბები”) თანდართული კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ანგარიშგებას 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების, ფულადი სახსრების მოძრაობის და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების კომბინირებულ ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კომბინირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

- წარმოდგენილი კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე კომბინირებულ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

- ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილი კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (ISRE 2400) (განახლებული)-ის შესაბამისად, „გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ“. ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (განახლებული)-ის შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომელიც ძირითადად შედგება ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილი კომბინირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი მოსაზრების საფუძველი

4. კლუბის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან“ მიღებულ დაფინანსებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268- ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც მოხდა პროგრამის გადაგრძელება 2022 წლის ბოლომდე, ამ ეტაპზე დამტკიცებული არ არის 2022 წლის შემდეგ კლუბების დაფინანსებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამა.

ზემოაღნიშნული დაფინანსება მნიშვნელოვანია 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით რიცხული ვალდებულებების დასაფარავად. აღსანიშნავია რომ მიმდინარე ვალდებულებები მნიშვნელოვნად აჭარბებს მიმდინარე აქტივებს.

აღნიშნული გარემოებები წარმოშობს მნიშვნელოვან გაურკვევლობას, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კლუბის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რომელიც სათანადოდ და სრულად არ არის გახსნილი კომბინირებულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

პირობითი მოსაზრება

5. ჩვენი აზრით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის მე-4 აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენისა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა რომ თანდართული კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის, შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელების და გამოყენების შეზღუდვა

6. თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელება ან გამოყენება სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მიხეილ აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

06 ოქტომბერი, 2022 წელი

თბილისი, საქართველო

კომბინირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



**კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)**



ლიცენზიის მადიებელი:

სს "საფხვბურთო კლუბი სამტრედია"

საბალანსო უწყისი		31.08.2022	31.08.2021
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		36,327	4,476
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		2,084	
სხვა დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები			
მატერიალური მარაგები			
სხვა მიმდინარე აქტივები			
მთლიანი მიმდინარე აქტივები		38,411	4,476
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		201,020	217,974
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები		7,867	
არამატერიალური აქტივები - სხვა		841	897
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები			
ინვესტიციები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		209,728	218,871
მთლიანი აქტივები		248,139	223,347
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტები			
ბანკის და სხვა სესხები		158,625	160,000
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			5,000
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება			
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ			
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება			
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი			
მოკლევადიანი ანარიცხები			
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		162,664	1,053,935
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		321,289	1,218,935
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის და სხვა სესხები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები			
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები			
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება			
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		145,254	43,133
გრძელვადიანი ანარიცხები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		145,254	43,133
სულ ვალდებულებები		466,543	1,262,068
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)		(218,404)	(1,038,721)

საკუთარი კაპიტალი



**კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)**



ლიცენზიის მადიებელი:

სს "საფხვბურთო კლუბი სამტრედია"

საბალანსო უწყისი		31.08.2022	31.08.2021
სააქციო/საწესდებო კაპიტალი		500,000	
გაუნანილებელი მოგება			
სხვა რეზერვები		(718,404)	(1,038,721)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი		(218,404)	(1,038,722)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები		248,139	223,347
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)		TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი		(1,297,662)	(1,341,528)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ		579,258	302,066
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში		500,000	
ცვლილება გადაფასების რეზერვში			739
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი		(218,404)	(1,038,722)
შემოწმება		TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები			
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში			
პერიოდის განმავლობაში განეული დანახარჯი		8,000	
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად			
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს		8,000	-
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია			
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში			
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა		133	-
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად			
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში		-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს		133	-
ნეტო საბალანსო ღირებულება			
პერიოდის დასაწყისში		-	-
პერიოდის ბოლოს		7,867	-
შემოწმება		TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: **05.10.2022**

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი - მიხეილ ხუციშვილი თარიღი: **05.10.2022**

კომბინირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



**კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)**



ლიცენზიის მაძიებელი:

სს "საფინანსო კლუბი სამტრედია"

მოგება-ზარალის უწყისი	31.08.2022	31.08.2021
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები		
ამონაგები ბილეთებიდან - სანეგროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი	479,661	
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე		
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		542,373
სულ სპონსორობა და რეკლამა	479,661	542,373
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ კომერციული	-	-
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები	122,750	
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი		
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	122,750	-
სუბსიდიები, შემონირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხურით ორგანოებიდან	6,300	2,250
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1,082,500	1,366,800
შემონირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან		
შენატანები/შემონირულობები დაკავშირებული მხარეებისგან		
შემოსავალი არასაფეხურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	5,140	
სულ სხვა შემოსავალი	1,093,940	1,369,050
სულ შემოსავალი	1,696,351	1,911,423
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(215,457)	(402,680)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(59,361)	(108,143)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(166,963)	(296,142)
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(441,781)	(806,965)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(312,612)	(456,123)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(86,128)	(121,787)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(398,740)	(577,910)



**კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)**



ლიცენზიის მაძიებელი:

სს "საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

მოგება-ზარალის უწყისი	31.08.2022	31.08.2021
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(840,521)	(1,384,875)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(11,683)	(11,623)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა) ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	(11,683)	(11,623)
მატჩის დღის ხარჯები	(4,250)	(4,700)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		
კომერციული აქტივობების ხარჯები		
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	(17,700)	(76,060)
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(159,224)	(135,096)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(181,174)	(215,856)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(1,033,378)	(1,612,355)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	(133)	
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	(133)	-
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	(16,553)	(9,572)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(16,553)	(9,572)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)		12,640
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(135)	(67)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(135)	12,572
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	(66,894)	
მოგება/(ზარალი) დაბეგრის შემდეგ	579,258	302,068
დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	579,258	302,068

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: **05.10.2022**

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
დირექტორი - მიხეილ ხუციშვილი თარიღი: **05.10.2022**

კომბინირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



**კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)**



ლიცენზიის მამძიებელი:

სს "საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	31.08.2022	31.08.2021
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(101,554)	477,930

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(8,000)	
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	(8,000)	-

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მენილევები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მენილევები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები		160,000
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	(527,878)	(637,572)
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	500,000	
(გადახდილი) ფულადი სახსრები მენილევებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	(27,878)	(477,572)

სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)

წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	(137,432)	358
--	-----------	-----

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია		
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	173,759	4,118
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	(137,432)	358
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	36,327	4,476
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	36,327	4,476

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: **05.10.2022**

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
დირექტორი - მიხეილ ხუციშვილი
თარიღი: **05.10.2022**

კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს და სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფინანსურ ინფორმაციას (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „კლუბები“).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ დაფუძნდა 2009 წლის 22 ივნისს, რომლის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. #128. კლუბის მმართველი დირექტორია მიხეილ ხუციშვილი.

ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბ სამტრედიას“ ძირითადი მიზანი იყო მონაწილეობის მიღება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა. კლუბი ძირითადად დაფინანსებას ღებულობს საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამიდან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს მეშვეობით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირმა „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-მ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 2015-2016 წლების სეზონში მოიპოვა მე-2 საპრიზო ადგილი და შესაბამისად UEFA-ს ევროპის ლიგის საგზური. კლუბმა მიიღო პრემიალური თანხა.

UEFA-ს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისთვის კლუბმა UEFA-სგან მიიღო სოლიდარობის თანხა.

კლუბმა 2016 წლის საქართველოს ეროვნული უმაღლესი ლიგის გარდამავალ ჩემპიონატში მოიპოვა პირველი საპრიზო ადგილი, გახდა საქართველოს ჩემპიონი და შესაბამისად მოიპოვა UEFA-ს ევროპის ჩემპიონთა ლიგის საგზური.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს პროფესიონალური გუნდის გარდა, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ეროვნულ ლიგაში (რანგით პირველ ლიგაში), ასევე ჰყავს ახალგაზრდული გუნდი.

კლუბს 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში ჰყავდა სფფ-ის აღმასკომის დებულებებით გათვალისწინებული თანამშრომლები 33 კადრი და 34 პროფესიონალი ფეხბურთელი.

სააქციო საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ დაარსდა 2022 წლის 03 მაისს, რომლის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა სამეთვალყურეო საბჭო. კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. #128. კლუბის ერთპიროვნული ხელმძღვანელია მიხეილ ხუციშვილი.

2022 წლის 03 მაისის შეთანხმების თანახმად, ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედიას“ უფლებები და ვალდებულებები, ფეხბურთელებისა და მესამე პირთა მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა გადასცა სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს. ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედიას“ სპორტულ მემკვიდრედ გამოცხადდა სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“. ხოლო 2022 წლის 16 ივნისს, სფფ გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ ჩანაცვლდა სს „საფეხბურთო კლუბ სამტრედიათ“

შენიშვნა 2: საადრეგვო პოლიტიკა

• კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2022 წლის 31 აგვისტოსთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	აგვისტო 31, 2022	აგვისტო 31, 2021
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.9045	3.1170
ლარი / 1 ევრო	2.9126	3.6768

- ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

- ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მოსამსხურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
შენობა-ნაგებობები	50 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია კომბინირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაწევის მომენტში.

- შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, შემოსავალი სპონსორისგან და სხვა შემოსავალი.

დაფინანსება / სუბსიდია - მიღებულ დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად;

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყანას, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყველა ის მიმართულება და პროექტი, რის განვითარებასაც გეგმავს სფფ. აღნიშნული პროგრამა დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ახალი ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან დაფინანსების გამოყოფა მოხდება სწორედ ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. 2016-2020 წლების ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

2016 წლის ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად თანხების გადანაწილება გუნდებზე 2017-2020 წლების ჩემპიონატზე მოხდება დადგენილი კალათების მიხედვით (მათ შორის პრემიალური, საპრიზო და ა.შ) კერძოდ:

პროფესიული ლიგა 1 -სთვის კალათა შეადგენს 1,000,000 ლარიდან 3,344,444 ლარამდე;

პროფესიული ლიგა 2 -სთვის კალათა შეადგენს 700,000 ლარიდან 1,772,222 ლარამდე;

2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268-ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მოხდა პროგრამის გადაგრძელება 2021 წლამდე. ამავე დადგენილებით 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 211,126,949 ლარის ოდენობით.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის #00002568 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა ქვეპროგრამა „ქართული ფეხბურთის განვითარება“. ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი განსაზღვრულია 37,417,800 ლარით.

2022 წლის 4 თებერვალს საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მიერ წარდგენილ იქნა 2022 წლის ფონდის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვით საბაზისო დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 20,300,000 ლარი.

კლუბებთან გაფორმებულია 2022 წლის საბაზისო დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებები, შემდეგი მოცულობის მიხედვით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - საბაზისო - 750,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - საბაზისო - 500,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
ეროვნული ლიგა 3 (16 გუნდი) - საბაზისო - 250,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
ეროვნული ლიგა 4 (16 გუნდი) - საბაზისო - 150,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
რეგიონალური ლიგა (28 გუნდი) - საბაზისო - 50,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ამასთან, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან“ საფეხბურთო კლუბებმა 2022 წელს მიიღეს საპრიზო/პრემიალური და ფინანსურ სტიმულირებასთან დაკავშირებული დაფინანსება.

კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, საფეხბურთო კლუბისათვის არ არის ცნობილი 2022 წლის შემდგომ დამტკიცებული ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის შესახებ.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

შენიშვნა 5: ძირითადი საშუალებები

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	შენობა-ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	171,767	35,202	97,656	304,625
შემოსვლები	-	-	-	-
ნაშთი 31 აგვისტო 2022	171,767	35,202	97,656	304,625
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	29,712	10,049	52,222	91,983
პერიოდის ცვეთა	2,233	4,100	5,289	11,622
ნაშთი 31 აგვისტო 2022	31,945	14,149	57,511	103,605
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	142,055	25,153	45,434	212,642
ნაშთი 31 აგვისტო 2022	139,822	21,053	40,145	201,020

2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	შენობა-ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	171,767	35,202	97,656	304,625
შემოსვლები	-	-	-	-
ნაშთი 31 აგვისტო 2021	171,767	35,202	97,656	304,625
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	26,362	4,379	44,287	75,028
პერიოდის ცვეთა	2,233	4,100	5,290	11,623
ნაშთი 31 აგვისტო 2021	28,595	8,479	49,577	86,651
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	145,405	30,823	53,369	229,597
ნაშთი 31 აგვისტო 2021	143,172	26,723	48,079	217,974

შენიშვნა 6. ბანკის და სხვა სესხები

2022 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში კლუბს არ აქვს გაფორმებული ახალი სასესხო ხელშეკრულება.

კლუბმა დაფარა 2021 წლის 17 ნოემბერს აღებული სესხი ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან 160,000 ლარი, ხოლო სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სგან 2021 წლის 31 დეკემბერს აღებული სესხი ჯამში 356,000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 7. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

სხვა მიმდინარე ვალდებულებები შედგება : ვალდებულებები ფედერაციისადმი, ვალდებულება ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისადმი, სავაჭრო ვალდებულებები.

შინაარსი	31-აგვ-2022	31-აგვ-2021
ვალდებულება ფედერაციისადმი	71,942	130,065
ვალდებულება ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისადმი	55,200	121,700
სავაჭრო ვალდებულებები	35,522	51,329
ვალდებულება სპონსორისადმი	-	750,841
სულ სხვა მიმდინარე ვალდებულებები	162,664	1,053,935

შენიშვნა 8. სააქციო/საწესდებო კაპიტალი

სააქციო/საწესდებო კაპიტალი მოიცავს შპს „ნიუ ვიქენ ინფრასტრუქტურა“-ს (დამფუძნებელი) მიერ კლუბის კაპიტალში ფულად შენატანს 500,000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 9. სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი მოიცავს შპს არქი პრომოუშენისგან მიღებულ თანხებს სპონსორობისა და ფინანსური სტიმულირების მიზნით.

შენიშვნა 10. უფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები

უფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები მოიცავს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ახალგაზრდული გუნდის სოლიდარობის დაფინანსებას.

შენიშვნა 11. სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან

2022 წლის 31 აგვისტოსთვის სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიღებული შემოსავლებისგან (6,300 ლარი). (2021 წლის 31 აგვისტო: 2,250 ლარი).

შენიშვნა 12. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან;

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

შენიშვნა 13. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისა და პრემიისგან.

შენიშვნა 14. ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომელიც ცალკე არაა გამოყოფილი

ფეხბურთელების მომსახურების ხარჯებში შედის მივლინების ხარჯები, კვების ხარჯები, სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯი, საწვავის და ფეხბურთელთა ტრანსპორტირების ხარჯი, ფეხბურთელთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის ხარჯი, უნიფორმების ხარჯი, კლუბის წილი საპენსიო ხარჯი და სხვა ხარჯები.

შენიშვნა 15. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში სხვა პერსონალზე ხელზე გაკემულ ხელფასს და პრემიას.

შენიშვნა 16. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ძირითადად მოიცავს საწვერო-სალიცენზიო ხარჯებს, იურიდიულ და საკონსულტაციო ხარჯებს, კომუნალურ და სხვა ხარჯებს.

შენიშვნა 17: ანარცხები და პირობითი ვალდებულებები

• **სასამართლო დავები**

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებობს საერთაშორისო დავა ყოფილ ფეხბურთელ Mihailo milutinovic-თან, რომელმაც მიიღო ფიზიკური ზიანი კლუბში დასაქმების პერიოდში და ჩაუტარდა სამედიცინო ოპერაცია.

Mihailo milutinovic-ი აღნიშნავს, რომ მას არასწორად ჩაუტარდა ოპერაცია, რასაც მოჰყვა გართულებები და შესაბამისად იგი ვეღარ შეძლებს საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას. ყოფილი ფეხბურთელი, ითხოვს ფულადი კომპენსაციის სახით 100,000 აშშ დოლარს, 4,000 ევროს მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას და მორალური ზიანის ანაზღაურებას 1,000,000 ევროს ოდენობით. დავა არის საჩივრის წარდგენის ეტაპზე და კლუბისთვის ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ რა თანხა იქნება დაკისრებული, ან იქნება თუ არა დაკისრებული კონკრეტული დავიდან გამომდინარე.

შენიშვნა 18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის ტიპი	31 აგვისტო, 2022	31 აგვისტო, 2021
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	ხელფასის და პრემიის ხარჯი	91,119	131,489

შენიშვნა 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ქართული ფეხბურთის განვითარების ქვეპროგრამის მიხედვით ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში 2022 წლის ბოლომდე ეროვნულ ლიგა 1-ში ასპარეზობის შემთხვევაში დაფინანსდებიან საბაზისო დაფინანსებით - 750,000 ლარი, ხოლო ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსებით - 500,000 ლარი.

კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის კლუბისთვის არ არის ცნობილი 2022 წლის შემდგომი პერიოდისთვის ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბების დაფინანსებას შესახებ.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინაში, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კლუბის კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კლუბი არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს.

2022 წლის 9 სექტემბერს კლუბმა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიიღო 40,000 ლარის საბაზისო დაფინანსება.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ კომბინირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

- დოკუმენტის დასასრული -